პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 117 (3631)

16

1968 წ. ივნისი. კვირა.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

## მონრეალი ოლიმპიადას ითხოვს

მონრეალი, 15 ივნისი. მსოფლიოს გამოფენა „ექსპო-67"-ის ქალაქმა გუშინ თავისი კანდიდატურა წამოაყენა 1976 წლის XXI საზაფხულო ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ.

კანადის მონრეალი 1972 წლის ოლიმპიადის მომწყობადაც ცდილობდა გახდომას, მაგრამ XX საიუბილეო თამაშების პრეტენდენტების განხილვისას საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა უპირატესობა მიუნხენს მიანიჭა.



## სპარტაკიადის დღიური

მოსწავლეთა შეჯიბრების მეორე დღეს კიდევ რამდენიმე ჩემპიონი გამოვლინდა. გაიცანით ზოგიერთი მათგანი: თბილისელი დაშნით მოფარიკავე თ. თოფურიძე და რუსთაველი რაპირისტი გოგონა ნ. ლაბაძე (ორივე 1952-53 წლებში დაბადებულთა შორის ასპარეზობდა), თბილისელი მსროლელი ვ. ანდინსკი...

საინტერესო ბრძოლა გაჩაღდა სპორტულ ტანვარჯიშში. I ჯგუფის გოგონათა გუნდებში ყველაზე კარგად გამოვიდნენ თბილისელები. მათ 239,733 ქულა დააგროვეს და I ადგილზე არიან. II ჯგუფის კოლექტივებში პირველობენ გორელი გოგონები — 108,754 ქულა.

მწვავე და დაძაბული გამოდგა ცხაკაიელ და რუსთაველ კალათბურთელ გოგონათა შეხვედრა. საბოლოოდ ცხაკაიელებმა იმარჯვეს და 1 ქულით მოიგეს შეხვედრა — 26:25. თბილისელმა ჭაბუკებმა ძალიან იოლად დაამარცხეს ქიათურელები — 68:26.

ფრენბურთელთა ასპარეზობის II წრის შეხვედრებიდან ყველაზე დაძაბული გოგონათა გუნდების 2 მატჩი გამოდგა. ორივე შეხვედრაში 5-5 პარტია გათამაშდა: რუსთაველებმა სძლიეს წყალტუბოელებს, აფხაზეთის ნაკრებმა — ქუთაისელებს.

თბილისელმა მაგიდის ჩოგბურთელებმა (გოგონებმაც და ჭაბუკებმაც) ერთნაირი ანგარიშით (5:0) დაამარცხეს რუსთაველი თანატოლები.

უჩვეულო ანგარიშით დამთავრდა რუსთავისა და სამხრეთ ოსეთის ხელბურთელ გოგონათა შეხვედრა; გაიმარჯვეს რუსთაველებმა — 4:3. თბილისელმა გოგონებმა დაამარცხეს ლანჩხუთელები — 8:3, ხოლო ჭაბუკებმა — სამხრეთ ოსეთის ნაკრები — 18:8. აჭარისა და აფხაზეთის ჭაბუკების ნაკრებთა შეხვედრაში გაიმარჯვეს აჭარის წარმომადგენლებმა — 16:14. თითქოს მოულოდნელი იყო ქუთაისელ ჭაბუკთა მარცხი სამტრედიელებთან (18:19), მაგრამ გამარჯვებულებმა მეტოქეებს ტოლი არაფერში დაუდეს.

დაბოლოს, ფეხბურთი. II ჯგუფის გუნდების ასპარეზობის II ტური მეტად მშვიდობიანი გამოდგა. ამ დღეს გაიმართა ორი შეხვედრა და ორივე ფრედ, ერთნაირი ანგარიშით (1:1) დამთავრდა: ხაშურელები ხვდებოდნენ ცხაკაიელებს, თელაველები — სამტრედიელებს.



ს უ რ ა თ ზ ე: აფხაზეთისა და აჭარის კალათბურთელთა შეხვედრის მომენტი. გაიმარჯვა აფხაზეთის ნაკრებმა — 68:49.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## მამაცი ზღვაოსნები

სტამბოლი, 15 ივნისი. სტამბოლელები დღეს ზეიმით შეხვდნენ იალქნიანი ნავის „ყისმეთის" ეკიპაჟს, რომელიც დედამიწის გარშემო მოგზაურობიდან დაბრუნდა. 1965 წლის 22 აგვისტოს ეს ათმეტრნახევარი სიგრძის ნავი სტამბოლიდან გავიდა. ნავში იყვნენ ცოლ-ქმარი სადუნ და ოდა ბოროები. შვიდი ზღვა და სამი ოკეანე გადაცურეს ამ მამაცმა ზღვაოსნებმა. უკან დარჩა სახიფათო ცურვის 2 წელიწადი, 10 თვე და 6 დღე, რომლის დროსაც შტორმებიც იყო, გამქვავლავი ქარებიც და მცხუნვარე მზეც...

დედამიწის გარშემო „ყისმეთის" ცურვის აღსანიშნავად თურქეთის საფოსტო სამსახურმა საგანგებო მარკა გამოუშვა, ხოლო ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა სადუნ ბოროს „1968 წლის საუკეთესო მოყვარული სპორტსმენის" წოდება მიანიჭა.

# ეს იქნება სოფიაში

## საქართველოს 13 წარმომადგენელიც...




28 ივლისს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქ სოფიაში საზეიმო ვითარებაში გაიხსნება ახალგაზრდობისა და სტუდენტთა IX მსოფლიო ფესტივალი. ამ ღირსშესანიშნავ ღონისძიებას მთელი რიგი თავისებურებები ახასიათებს.

არც ერთი ფესტივალი არ ჰგავდა წინამორბედს, ვინაიდან საერთაშორისო ვითარება იცვლებოდა, ახალგაზრდობის მოძრაობას ახალი ამოცანები ესახებოდა. სწორედ ამ ევოლუციის შედეგია, რომ ფესტივალის ტრადიციულ ლოზუნგს — „მშვიდობა და მეგობრობა!" — დაემატა საბრძოლო სიტყვა „სოლიდარობა". IX ფესტივალის ლოზუნგი იქნება — „სოლიდარობისთვის, მშვიდობისთვის, მეგობრობისთვის!".

ფესტივალის პროგრამაში მთავარი ადგილი უჭირავს ვიეტნამელი ხალხის გმირულ ბრძოლას ამერიკული იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ამასთან, გათვალისწინებულია დისკუსიები სხვა საჭირბოროტო საკითხებზე. ჩატარდება დისკუსიები მწვავე იდეოლოგიურ თემებზე: კაპიტალიზმი და სოციალიზმი, საზოგადოება და პიროვნება. როგორც წესი, ფესტივალზე ახლაც გაიმართება ხელოვნების კონკურსები, მეგობრული შეხვედრები. დიდი ადგილი დაეთმობა სპორტს. საერთაშორისო მოსამზადებელმა კომიტეტმა დაამტკიცა ფესტივალის სპორტული პროგრამა, რომელშიც შევიდა შეჯიბრებები მძლეოსნობაში, ცურვაში, წყალში ხტომაში, სპორტულ და მხატვრულ ტანვარჯიშში, კალათბურთში, ჩოგბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, კრივში, თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში... შეჯიბრებები ჩატარდება საერთაშორისო სპორტული ფედერაციების წესების მიხედვით. იმსაჯებენ ბულგარელი და ასპარეზობის მონაწილე სხვა ქვეყნების საუკეთესო არბიტრები.

ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტმა ყველა სახეობაში შეიმუშავა შეჯიბრების პროგრამა, დაადგინა მონაწილეთა რაოდენობა, შეჯიბრების ადგილები და პრიზები. შეჯიბრებაში გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან მოოქროული, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებით. ამას გარდა, პირველ ექვს ადგილზე გასული სპორტსმენები მიიღებენ დიპლომებს, სპორტის კოლექტიურ სახეობებში გამარჯვებულ გუნდებს კი თასები გადაეცემათ.

ფესტივალის სპორტული ნიშნის მიღება ახალგაზრდობის საერთაშორისო შეხვედრის ყველა მონაწილესა და სტუმარს შეუძლია. ამისთვის საჭიროა შეასრულო ნორმები სპორტის ორ სახეობაში ამორჩევით: მოკლე დისტანციაზე რბენაში, სიმაღლეზე და სიგრძეზე ხტომაში, ბირთვის კვრასა ან თავისუფალი სტილით ცურვაში.

გაიმართება საერთაშორისო საფეხბურთო ტურნირი, რომელშიც ცნობილი კოლექტივებიც ჩაებმებიან.

სპორტულმა განყოფილებამ გადაწყვიტა საჩვენებელი გამოსვლებისთვის მოიწვიოს მსოფლიოში სახელგანთქმული სპორტსმენები.

ფესტივალის დღეებში ახალგაზრდებს საშუალება ექნებათ ერთმანეთს გაუზიარონ თავიანთი გამოცდილება. კლუბში გაიმართება სემინარები. დამსწრენი მოისმენენ მოხსენებებს სპორტში რასობრივი დისკრიმინაციის, წვრთნის ახალი მეთოდების საკითხებზე. მოეწყობა სპორტული ლიტერატურისა და ფოტოგრაფიის გამოფენა. უჩვენებენ სპორტულ ფილმებს, გაიმართება შეხვედრები სახელმოხვეჭილ სპორტსმენებთან.

სსრ კავშირიდან ახალგაზრდობისა და სტუდენტთა IX ფესტივალში მონაწილეობას მიიღებს სპორტსმენთა დიდი ჯგუფი, მათ შორის, ჩვენი რესპუბლიკის 13 წარმომადგენელი. ესენი არიან: ჩოგბურთელები ა. მეტრეველი და ა. ივანოვა, ფრენბურთელები ნ. თათარაშვილი, ვ. ასლანიდი, ვ. სანაკოევი, ხელბურთელები ჯ. ცერცვაძე და ი. ფხაკაძე, ტანმოვარჯიშეები ლ. ლაპისტოვა, ე. ბოგოლიუბოვა, მოჭიდავე მ. ჩიბურდანიძე, მძლეოსანი გ. გუდაშვილი, ფრენბურთელთა მწვრთნელი შ. მარგიშვილი, მსაჯი ტანვარჯიშში, წარსულში ცნობილი სპორტსმენი გ. შარაბიძე.

რ. კოკოევა,

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სპორტული და თავდაცვითი-მასობრივი განყოფილების გამგე.



ს უ რ ა თ ზ ე: ვასილ ლევსკის სახელობის სტადიონი, სადაც გაიმართება ფესტივალის პროგრამით გათვალისწინებული მთავარი სპორტული ბატალიები.

## 77 წუთში...

როგორც ცნობილია, ევროპის „ა" ზონის ნახევარფინალური მატჩი დევისის თასზე იტალია — სსრ კავშირის ჩოგბურთელებს შორის 13 ივნისს უნდა დაწყებულიყო. მაგრამ საქმეში ამინდი ჩაერია: იმ დღეს იტალიის ქალაქ რეჯიო-ემილიაში გადაუღებლად წვიმდა და მატჩი ერთი დღით დაგვიანდა.

14 ივნისს კორტზე პირველად თ. ლეიუსი და ნ. პიეტრანჯელი გამოვიდნენ. საბჭოთა ჩოგბურთელმა მხოლოდ პირველი ხელი მოიგო (6:4), მომდევნო სამში კი ფარ-ხმალი დაყარა — 4:6, 1:6, 2:6.

ა. მეტრეველმა ბრწყინვალედ ჩაატარა შეხვედრა მ. მალიგანთან. მისი მეტოქე მხოლოდ ერთხელ დაწინაურდა (3:1), მაგრამ ქართველმა ჩოგბურთელმა სწორედ ამ კრიტიკულ მომენტში იმარჯვა და თითქმის წასაგებად განწირული ხელი მოიგო — 6:3. მომდევნო პარტიაში მეტრეველმა მალიგანი მთლიანად შებოჭა, ინიციატივა არ დაუთმო და პარტია დიდი სხვაობით მოიგო — 6:1. თბილისელმა მესამე ხელშიც დამაჯერებლად გაიმარჯვა (6:3) და გუნდურ შეხვედრაში ანგარიში გაათანაბრა — 1:1.

აღსანიშნავია, რომ მეტრეველისა და მალიგანის შეხვედრა 77 წუთში დამთავრდა.

## ჩვენი კორესპონდენტი საათი...

## ჯერჯერობით უდანაკარგოდ

ვესტეროსი, 15 ივნისი. რვავე საბჭოთა ათლეტი განაგრძობს ბრძოლას კლასიკური სტილის მოჭიდავეთა აქ დაწყებულ ევროპულ ჩემპიონატში. ასპარეზობის პირველ დღეს ზოგი მათგანი ორჯერაც კი გამოვიდა ხალიჩაზე. მაგალითად, დღისით წმინდა გამარჯვების შემდეგ ერევნელმა ზახარიანმა (მჩატე წონა) საღამოს ასევე წმინდად — 3 წუთსა და 21 წამში მოუგო ნორვეგიელ სოლსპერს. ზაპოროჟიელმა გრიგორიევმა (ქვემსუბუქი წონა) 52 წამში ბეჭებზე დასცა ბელგიელი დუტცე.

ტერნოპოლელმა ნოვოხატკომ (მსუბუქი წონა) ქულებით სძლია ბერძენ გალაკტოპულოსს. საბჭოთა სპორტსმენმა მეტოქე რამდენჯერმე ჩააგდო გამოუვალ მდგომარეობაში, მაგრამ წმინდა გამარჯვებას ვერ მიაღწია.

ფრანგი ბურგუენი მოიხსნა შეჯიბრებიდან. თბილისელ ბლიაძესთან (საშუალო წონა) შერკინებისას მან უწესოდ იჭიდავა — კლასიკური ჭიდაობის წესების უცოდინარობა გამოავლინა (წინათ იგი ძიუდოში გამოდიოდა).

თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონი ფრანგი რობენი (ქვესაშუალო წონა) დამარცხდა საბჭოთა ათლეტთან ივლევთან შეხვედრაში. გრენობლელ სპორტსმენს გადაწყვეტილი აქვს ორი ჯილდო მოიპოვოს მეხიკოში — თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში, მაგრამ „კლასიკოსებთან" დებიუტი, როგორც ხედავთ, მისთვის უიღბლო გამოდგა.

ასპარეზობის პირველი დღის სენსაცია იყო მსოფლიოს ექს-ჩემპიონის, მოსკოველი ანისიმოვის (ქვემძიმე წონა) მარცხი 20 წლის ფინელ მალმბერგთან. ამასთან, საბჭოთა მოჭიდავემ ხელი იტკინა.

მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, 150-კილოგრამიანი გიგანტი კოზმა (უნგრეთი) პირველი დღის რეკორდსმენი გახდა: მან 34 წამში მოუგო შვეიცარიელ იუტცელერს.

კვირას გამოვლინდებიან ჩემპიონატის პრიზიორები.




# მძლეოსანთა ოლიმპიური საზრუნავი

მეხიკოში საბჭოთა მძლეოსნობა სრული გუნდით წარმოდგენილი არ იქნება, — მითხრა სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელმა გ. კორობკოვმა. — ოლიმპიადაზე „ტურისტებს" არ წავიყვანთ. სტარტზე გამოვლენ მხოლოდ ის მორბენლები, მხტომელები, მტყორცნელები, ვისაც შედეგებისა და მომზადების დონის მიხედვით ჩასათვლელ ექვსეულში მოხვედრა შეუძლია.

ამრიგად, არა რაოდენობა, არამედ ხარისხი! 70 კაცი გუნდში, არა უმეტეს. როგორია ამ სპორტსმენთა ოლიმპიური შანსები? კორობკოვთან ერთად გავეცნოთ მომავალ ოლიმპიელთა სიებს, შევაფასოთ მათი ბრძოლისუნარიანობა, მათი მეტოქეების შესაძლებლობანი.

## სარბენ ბილიკზე

სპრინტის პირად ჩათვლაში წარმატების მოპოვება საბჭოთა მძლეოსნებს გაუჭირდებათ. კორობკოვის სიტყვით, მთავარი ამოცანაა ძლიერი გუნდების შექმნა 4×100 მეტრზე ესტაფეტაში. ნაკრები გუნდის საწვრთნელ ვარჯიშში ჩაბმული არიან ახალგაზრდა მორბენლები — შარშანდელი სეზონის გმირი ვ. საპეია, ე. სინიაევი (სპრინტში 8 თვის ვარჯიშის შემდეგ მან ორჯერ გაირბინა 100 მ 10,3 წამში), ფ. პანკრატოვი. ქალებიდან უძლიერესთა ჯგუფში შევიდა ლ. ტკაჩენკო.

400 მეტრზე რბენაში იმედს ვამყარებთ ბ. სავჩუკზე და ა. ბრატჩიკოვზე. თავიანთი მონაცემების მიხედვით, ამ ახალგაზრდა სპრინტერებს შეუძლიათ და უნდა „დაახურდაონ" კიდეც 46 წამი. მაგრამ ორივე სპორტსმენი ნაკლებად მუშაობს ამტანობის ამაღლებაზე. საწვრთნელ მეცადინეობაზე ისინი იშვიათად და მეტისმეტად უგულოდ დარბიან, მაგალითად, 600 მეტრზე. თუ ისინი ოლიმპიადისთვის ფორმაში ჩადგებიან, 4×400 მეტრზე ესტაფეტაში ახალბედებიც აუბამენ მხარს. ესენი არიან: ძალიან პერსპექტიული მორბენალი, წარსულში განთქმული სპრინტერის ბ. ტოკარევის მოწაფე, 20 წლის მოსკოველი ი. შაბალინი და 1946 წელს დაბადებული რიაზანელი ი. ხლოპოვი, რომლის დებიუტიც ევროპის თასის შარშანდელ გათამაშებაში შედგა.

— საშუალო მანძილზე რბენაში ჯერჯერობით ნაღდ კანდიდატებს ვერ ვხედავ, — ამბობს კორობკოვი. — ქალებიდან მხოლოდ ვერიკ ლაინეს შედეგები შეესაბამება ოლიმპიურ სტანდარტებს. ვაჟებში არჩევანი საერთოდ არა გვაქვს.

— ოლეგ რაიკო? — ვეკითხები. — მისი საკავშირო რეკორდი 1500 მეტრზე საკმაოდ მაღალია — 3.38,7.

— დიახ, მაგრამ რეკორდის დამყარების შემდეგ რაიკომ გადაწყვიტა, რომ საოცნებო ზღვარს მიაღწია. იგი ძალიან იშვიათად გამოდის სტარტზე. იგივე შეიძლება ითქვას ჩვენს მეორე ნიჭიერ მორბენალზე მიხეილ ჟელობოვსკიზე. ამ სპორტსმენებს სეზონში 5-6 სტარტი აქვთ, მათ უცხოელ მეტოქეებს კი 30-35. 1500-მეტრიან მანძილზე მეასე შედეგი შარშან ჩვენში 3 წუთსა და 52 წამზე უკეთესი იყო — საერთოდ, ჩვენ მორბენლების უფრო ძლიერი მასა გვყავს, ვიდრე რომელიმე სხვა ქვეყანას, ლიდერები კი ჩამორჩებიან. არა გვაქვს, თუ შეიძლება ითქვას, ასპარეზობის ბრუნვა — ზამთარ-ზაფხულ. რაიკომაც და ჟელობოვსკიმაც უნდა შეცვალონ წვრთნისა და სტარტებისადმი დამოკიდებულება. ისინი მხოლოდ ამ შემთხვევაში გახდებიან ოლიმპიელები.

სიტყვა ჩამოვარდა სტაიერულ რბენაზე. აქ ჩვენმა მორბენლებმა, როგორც იქნა, მიაღწიეს საწვრთნელი დატვირთვის მსოფლიო სტანდარტებს: ახლა ისინი საწვრთნელ მეცადინეობებზე თვეში 640, კვირაში 160 კილომეტრს ფარავენ. ასეთია აუცილებელი მინიმუმი. კლარკისთვის, მაგალითად, ეს ციფრი 800 კმ-ს აღწევს. ასევეა რულანტსი.

საბჭოთა სტაიერთა ლიდერებს გ. ხლისტოვსა და ლ. მიკიტენკოს, კორობკოვის აზრით, 10.000 მეტრის გარბენა 28 წუთსა და 10 წამზე სწრაფად შეუძლიათ. ამასთან, მიკიტენკო შუა აზიაში, მთებში ცხოვრობს და მექსიკის მაღალმთიანეთს არ შეუშინდება.

— ჩვენი სტაიერები მეტისმეტად გატაცებული არიან დისტანციაზე ტაქტიკური თამაშით, — ამტკიცებს კორობკოვი, — მაგრამ ისინი თანდათან მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ კუცის მაგალითს უნდა მიბაძონ: „თუ გამასწარი, მსოფლიო რეკორდს შენ დაამყარებ, თუ ვერა — მე".

400 მეტრზე თარჯრბენში დიდი შესაძლებლობები აქვს ვ. სკომოროხოვს, რომელიც ადრე 110-მეტრიან დისტანციაზე ოსტატდებოდა. მწვრთნელი, ევროპის ექს-ჩემპიონი ე. ბულანჩიკი ყრუთა შორის მსოფლიო ჩემპიონს 50 წამზე „სწრაფი" შედეგისთვის ამზადებს. სკომოროხოვს უკვე აქვს კარგი პირადი რეკორდი: 50,1 წამი.

სტიპლ-ჩეზში საბჭოთა გუნდს ორი ჩინებული ოსტატი ჰყავს. ვ. კუდინსკიმ და ა. კურიანმა ყურადღება ჯერ კიდევ ორი წლის წინ, ბუდაპეშტის ევროპულ ჩემპიონატში მიიქციეს, სადაც ჩამოიტოვეს მსოფლიო რეკორდსმენი, ბელგიელი გ. რულანტსი და ოქროსა და ვერცხლის მედლები მოიპოვეს. ჩვენს მორბენლებს კიდევ ჰყავთ საიმედო რეზერვი. კერძოდ, კუდინსკი ცუდი თარჯმორბენალია. იგი საკმაოდ მოქნილი არაა და ტექნიკაშიც აქვს ზოგიერთი ნაკლი. ესე იგი, მასაც და კურიანსაც კიდევ შეუძლიათ წინსვლა.

კორობკოვს ვკითხე, შეუძლია თუ არა რულანტსს ამ დუეტთან მეტოქეობა-მეთქი.

— რა თქმა უნდა, — მიპასუხა. — ამ ბოლო ხანს მე რამდენჯერმე ვნახე რულანტსი უცხოეთის სტადიონებზე. ბელგიელმა ჩინებულად დაძლია მაღალმთიანეთი. მაგრამ მან არ უნდა დაუშვას ბრძოლა ფინიშზე — ბოლო სპურტში მას უთუოდ აჯობებენ კუდინსკი და კურიანი.

მე ვფიქრობ, — განაგრძობს მწვრთნელი, — რულანტსს ზატოპეკის რეკორდის გამეორება აქვს განზრახული: იგი ოლიმპიადისთვის ამზადებს სტიპლ-ჩეზსაც, „ხუთიანსაც", მარათონსაც. თუ ეს მართლაც ასეა, ეჭვიც არ მეპარება, რომ რულანტსი დამარცხდება.

კარგად არიან მომზადებული 20 კილომეტრზე მოსიარულენი ნ. სმაგა და ვ. გოლუბნიჩი. რაც შეეხება მარათონს, ამ სახეობაში წინასწარ ძნელია ფავორიტის განსაზღვრა. აქ ბრწყინვალე ეთიოპიელის აბებე ბიკილას წარმატებაზეც ვერ დადებ თავს — ამ ზეგრძელი დისტანციის ტრასა მეტისმეტად რთულია.

## სახტომ ორმოებში

ნაკრების მთავარი მწვრთნელის აზრით, ვ. სკვორცოვსა და ვ. გავრილოვს შეუძლიათ სიმაღლეზე ხტომაში წარმატების მოპოვება. ეს მხტომელები ძალიან განსხვავებული არიან: სკვორცოვი წვრთნის დროს უმეტეს ყურადღებას ძალისმიერ მომზადებას აქცევს — 180-კილოგრამიანი შტანგით აკეთებს ჩაჯდომას, გავრილოვი კი მხოლოდ 115 კილოგრამს ძლევს. სამაგიეროდ, ეს უკანასკნელი უფრო მოქნილია, ელასტიური, ელეგანტური. სიმაღლე 220-225 ორივესთვის ხელმისაწვდომია.

ი. ტერ-ოვანესიანზე სიტყვის გაგრძელება არცაა საჭირო. შარშან შემოდგომით ჩვენმა რეკორდსმენმა სიგრძეზე ხტომაში მსოფლიო მიღწევა გაიმეორა (835), და ეს ციფრი თავისთავად ბევრს მეტყველებს. იგორი ჩინებულად გრძნობს თავს ტარტანის ბილიკზე, რომელზეც იგი მეხიკოში უნდა გამოვიდეს. მის ახალგაზრდა დუბლიორს, ესტონელ ტ. ლეპიკს, კორობკოვის აზრით, უკვე წლევანდელ სეზონში შეუძლია თვით ტერ-ოვანესიანის დაჯაბნაც. ლეპიკს პირადი მიღწევა (803) ჯერ კიდევ არ აუყვანია იმ დონემდე, რომელზეც უნდა იდგეს თავისი მომზადებისა და ნიჭის მიხედვით.

სამხტომი ჩვენს ერთ-ერთ მთავარ საბრძოლო სახეობად იქცა. მეხიკოსთვის ემზადება ოთხი ექსტრა-კლასის ოსტატი: გამოცდილი სპორტსმენი ა. ზოლოტარიოვი (მისი საკავშირო რეკორდი 16,92 მეტრია) და ახალგაზრდები: ნ. დუდკინი (16,71), ვ. სანეევი (16,69), ვ. კურკევიჩი (16,69). ოლიმპიადაზე სამნი გაემგზავრებიან.

— შეიძლება ოლიმპიური საპატიო კვარცხლბეკის სამივე საფეხური ჩვენმა სამხტომელებმა დაიკავონ, — ამბობს კორობკოვი. — ყოველ შემთხვევაში, ვემზადებით ამისთვის.

ჭოკით მხტომელების ლიდერმა გ. ბლიზნეცოვმა მრავალი წლის შემდეგ ბოლოსდაბოლოს შეარჩია მისი მძლავრი აღნაგობის შესაფერი ფიბერგლასის ჭოკი. იგი პრაქტიკულად ზღვარდაუდებელ შესაძლებლობათა ათლეტია. და თუ ხარკოველი ინჟინერი მოკლე ხანში მოასწრებს ახალი იარაღის ათვისებას, მისი სარეკორდო თამასა (520) გაცილებით მაღლა აიწევს.

ქალები? ტ. ტალიშევას შეუპოვარი ბრძოლა ელის უცხოელ სიგრძეზე მხტომელებთან. სამწუხაროდ, მას ჯერჯერობით მხარს ვერ უჭერენ ნიჭიერი, მაგრამ ჯერ ძალიან ახალგაზრდა და გამოუცდელი პარტნიორები ნ. კროიტერი, ე. რინგა, ტ. ბიჩკოვა. მოულოდნელად გამოვიდა მწყობრიდან სსრ კავშირის რეკორდსმენი სიმაღლეზე ხტომაში ა. ოკოროკოვა-ლაზარევა. მოასწრებს თუ არა იგი ოლიმპიადისთვის ფორმის აღდგენას, ჯერჯერობით არ ვიცით. ოკოროკოვა-ლაზარევას გარდა გდრ-ის ჩემპიონ რ. შმიდტთან ბრძოლას შეძლებს მხოლოდ გუნდის ვეტერანი ტ ჩენჩიკი.

## ტყორცნის სექტორებში

აქ ერთი ოქროს მედალი თითქმის განაღდებული გვაქვს: ძნელი წარმოსადგენია, ვინმემ მეტოქეობა გაუწიოს ნადეჟდა ჩიჟოვას, რომელმაც ამას წინათ ბირთვი 18,67 მეტრზე ჰკრა ვაჟებმა ამ სახეობაში დიდიდიდი IV-VI ადგილები დაიკავონ. მთავარი ძალა ე. გუშჩინია.

რ. კლიმი მეტისმეტად იშვიათად აგებს შეჯიბრებას ურო< ტყორცნაში. მაგრამ მისმა მთავარმა მეტოქეებმა — უნგრელმა დ. ჟივოცკიმ და უ. ბაიერმა (გფრ) მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს შედეგები. ოლიმპიური ჩემპიონისთვის ტიტულის დაცვა იოლი არ იქნება და მაინც, 35 წლის მინსკელი სამხედრო მოსამსახურის დიდი იმედი გვაქვს.

შუბის მტყორცნელებში გამოირჩევა ი. ლუსისი. ობიექტურად, იგი უძლიერესია მსოფლიოში.

— საქმე ის გახლავთ, — ამბობს კორობკოვი, — რომ ლუსისი მეტისმეტად სერიოზულად ეკიდება თავის ნაკლოვანებებს. მაგალითად, თუ ეჩვენება, რომ ფიზიკური მომზადება აკლია, მას შეუძლია მთელ წელიწადს ძალის განვითარებისთვის იმუშაოს და ტექნიკა აზარალოს. არის ხოლმე პირიქითაც, როგორც ეს ტოკიოს თამაშების შემდეგ მოხდა. საერთოდ, ლუსისი სერიოზული კაცია და მეხიკოს ოლიმპიადისთვის დიდი დაფიქრებით, გეგმაზომიერად ემზადება.

უზარმაზარი გამოცდილება დაეხმარა მის დუბლიორს მ. პაამასაც. მეხიკოზე ოცნებობენ გუშინდელი ახალბედებიც: კიეველი ბელანი და ესტონელი სავი. უკვე ორივემ დაძლია 84 მ.

ბადროს მტყორცნელები ოლიმპიადაზე შეიძლება საერთოდ არ წავიდნენ. როგორც კორობკოვმა გვითხრა, ვ. იარასისა და მისი ამხანაგების წინაშე დასახულია ამოცანა: სტაბილურად აჩვენონ 62 მ. ასეთია ოლიმპიური თამაშების საგზური. ქალებში უწინდებურად ლ. ხმელიოვსკაია ლიდერობს, მაგრამ მას არ ძალუძს მსოფლიო რეკორდსმენ კ. შპილბერგთან (გდრ) და ექს-რეკორდსმენ ლ. ვესტერმანთან (გფრ) ბრძოლა. ძალიან საინტერესოა ახალგაზრდა ნოვოსიბირსკელი მტყორცნელი ო. ტიტოვა. ტანადი, ფიზიკურად ძლიერი სპორტსმენი აღნაგობითა და ტყორცნის მანერით ძალიან ჰგავს ვესტერმანს. ოლიმპიური ზაფხულის მანძილზე იგი ალბათ პირველ პლანზე დადგება.

დაბოლოს, მრავალჭიდი. ლიდერები აქ არ შეცვლილან. ვაჟებში დავასახელებთ ტოკიოს ვერცხლის პრიზიორს რ. აუნს. მეხიკოში თავი მტკიცედ რომ იგრძნოს, მან ჯერ 8000 ქულის ზღვარი უნდა დაძლიოს, რომელსაც უკვე მიუახლოვდა. ქალებში ლიდერია ევროპის ჩემპიონი ვ. ტიხომიროვა. მას მძიმე ბრძოლა ელის როზენდალთან (გფრ), რომელმაც უკვე გაზაფხულზე აჩვენა სეზონის მიღწევა.

— თუ შევადარებთ ჩვენი და ამერიკელი მძლეოსნების საუკეთესო შედეგებს წლევანდელ სეზონში, უპირატესობა მათ მხარესაა. მაგრამ ზაფხული ჯერ მხოლოდ დაიწყო. ამასთან, როცა სპორტსმენები ერთმანეთის პირისპირ გამოდიან ერთ სტადიონზე, — თქვა საუბრის დასასრულს გ. კორობკოვმა, — ასეთი „დაუსწრებელი" შეჯიბრება ხშირად კრიტიკას ვერ უძლებს. ყოველ შემთხვევაში, ოლიმპიურ სარბიელზე აშშ-ს მძლეოსანთა გუნდს ჩვენ უთუოდ გამოვუცხადებთ ბრძოლას გუნდური პირველობისთვის.

ა. სრებნიცკი.



ბალტიისპირეთის რესპუბლიკებისა და ბელორუსიის მძლეოსანთა ტრადიციული მატჩი (ტალინი). როგორც ცნობილია, ლატვიელებმა მოიგეს. ამ შეჯიბრებაში კარგად გამოვიდნენ რიგელი შუბის მტყორცნელი, სსრ კავშირის რეკორდსმენი ი. ლუსისი და ჩვენი ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების კანდიდატი ტ. ლეპიკი (ესტონეთი). ლუსისმა შუბი 86,30 მეტრზე ტყორცნა, ლეპიკი კი 756 სმ სიგრძეზე გადახტა.

სურათებზე: ტ. ლეპიკი (ზევით) და ი. ლუსისი ასპარეზობისას.

ფოტო პ. კუზნეცოვისა (საქდესი).



## კილი გამართლებულია

ინსბრუკი, 15 ივნისი. სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციამ თავის აქ გამართულ კონგრესზე, როგორც იქნა, დახურა ეგრეთ წოდებული „კილის საქმე" და თეთრი ოლიმპიადის ოქროს 3 მედლის მფლობელს სამოყვარულო სტატუსის დარღვევის ყველა ბრალდება მოუხსნა. გრენობლის ოლიმპიური თამაშების გმირს, ფრანგ სამთომოთხილამურე ჟან-კლოდ კილის ბრალი ედებოდა პროფესიონალიზმში იმის გამო, რომ თითქოს მან ფრანგულ ილუსტრირებულ ყოველკვირეულ ჟურნალ „პარი მატჩის" რედაქციიდან თავისი ფოტოგრაფიის გამოქვეყნებისთვის ზღაპრული ჰონორარი აიღო და ამ ფულით მშვენიერი სარბოლო მანქანა იყიდა. ფედერაციამ, რომელმაც მაინცდამაინც არ ჩასდია საქმეს, დაასკვნა, რომ არ არის არავითარი საიმისო საბუთი, რომ კილის ოლიმპიური ჯილდოები ჩამოერთვას. მანქანას რაღა უყონ? ფედერაციის პრეზიდენტმა მ. ჰოლდერმა განმარტა, რომ ჟან-კლოდს ეს მანქანა აჩუქა მდიდარმა მამამ, რომელიც სამთომოთხილამურე სპორტისა და თავისი ვაჟის დიდი გულშემატკივარია. როგორც ცნობილია, ახლა კილი უკვე დაემშვიდობა სამოყვარულო სპორტს და პროფესიონალთა ავტორბოლებში ასპარეზობს. მაგრამ ეს თეთრი ოლიმპიადის შემდეგ მოხდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს ჩემპიონობა ამ ჩოგბურთელებმა მოიპოვეს: მარცხნივ (მარცხნიდან) — ა. ივანოვა და რ. აბჟანდაძე; მარჯვნივ — თ. კაკულია და ვ. პერეგუდოვი. აბჟანდაძემ გაიმარჯვა ერთეულებში და ქალთა წყვილების შეჯიბრებაში ივანოვასთან ერთად. ივანოვა პირველი იყო შერეულ წყვილებშიც (პერეგუდოვთან ერთად). პერეგუდოვმა მარტო შერეულ წყვილებში როდი იმარჯვა: იგი უძლიერესი იყო დანარჩენ ორ თანრიგშიც — ერთეულთა და ვაჟთა წყვილების ასპარეზობაში. კაკულიამ მხოლოდ ერთი I ადგილი მოიპოვა — ვაჟთა წყვილების შეჯიბრებაში.

ფოტო მ. ზარგარიანისა.



# ტრიბუნები ცარიელი იყო

თბილისის „დინამოს" კორტებზე დამთავრდა საქართველოს პირად-გუნდური პირველობა ჩოგბურთში. ბოლო დღეს გამოვლინდნენ ჩემპიონები და პრიზიორები შერეულ წყვილებში, ქალთა და ვაჟთა ერთეულებში.

ერთი შეხედვით, თ. კაკულიასა და ვ. პერეგუდოვის ფინალური მატჩის შედეგი მოულოდნელი იყო: მძიმე და დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვა პერეგუდოვმა (4:6, 6:2, 6:0, 6:8, 7:5) და ჩემპიონის სახელიც მოიხვეჭა. ეს ახალგაზრდა ჩოგბურთელის დიდი წარმატებაა. სხვათა შორის, პერეგუდოვმა კარგა ხანია მიიპყრო სპეციალისტების ყურადღება და თუ გულმოდგინედ ივარჯიშებს, მისგან საკავშირო სარბიელზე უთუოდ მაღალ შედეგებს უნდა ველოდეთ. კაკულიას მარცხს მოულოდნელს იმიტომ ვერ ვუწოდებთ, რომ იგი ტურნირის დასაწყისიდანვე ვერ თამაშობდა ჩვეული დამაჯერებლობით და შედარებით სუსტ მეტოქეებთან თითო პარტიაც წააგო (მერვედფინალში გ. ეგნატაშვილთან, მეოთხედფინალში კი პ. აბაშკინთან). კაკულიამ დაუდევრად ჩაატარა ფინალური შეხვედრაც და ამიტომ დაისაჯა კიდეც.

III ადგილისთვის ბრძოლაში გ. ახალაძემ მოუგო ა. ვერულავას — 6:2, 6:2, 6:3.

ქალთა შეჯიბრების ფინალში კარგად ითამაშა რ. აბჟანდაძემ, რომელმაც შედარებით იოლად დაამარცხა ნ. თუხარელი — 6:4, 6:0. III ადგილი დაიკავა ა. ივანოვამ. ბოლო ეტაპზე მან დაამარცხა ო. პაპაიანი — 6:3, 6:1.

შერეული წყვილების ფინალში გაიმარჯვეს ივანოვამ და პერეგუდოვმა (დაამარცხეს აბჟანდაძისა და კაკულიას დუეტი — 6:3, 2:6, 6:4). III ადგილი წილად ხვდათ თუხარელსა და ბ. სენჩუროვს. მათ დაამარცხეს ნ. რუხაძე და ახალაძე — 6:3, 6:4.

რა გვიჩვენა საიმედო ჩოგბურთელთა წლევანდელმა ჩემპიონატმა? პირდაპირ უნდა ითქვას, ბევრი არაფერი. ამ თამაშის განვითარების დონე თანდათან ეცემა აჭარაში, აფხაზეთში, რუსთავში... ალბათ, ფოთსა და ქუთაისშიც. ალბათ იმიტომ, რომ წლეულს ფოთისა და ქუთაისის ჩოგბურთელებს გუნდურ ჩემპიონატში მონაწილეობა არ მიუღიათ. რუსთავში ჩოგბურთის განვითარებას, პირველ ყოვლისა, სათანადო ბაზების უქონლობა აფერხებს. აჭარისა და აფხაზეთის სპორტის მესვეურები კი ამ მიზეზით თავს ვერ გაიმართლებენ.

კიდევ ერთი ფაქტი: ქალთა ერთეულების ტურნირის 24 მონაწილეს შორის 19 თბილისელი იყო, დანარჩენი 5 კი აჭარის (მაჩხალიანი, სუხენკო), აფხაზეთისა (ტუმბულიდი) და რუსთავის (პეტრენკო, ფომკინა) წარმომადგენელი. ამ ხუთეულმა ასპარეზობის პირველივე შეხვედრაში დაყარა ფარხმალი. იგივე მოხდა ვაჟთა ერთეულების შეჯიბრებაშიც (31 მონაწილე). თოფურიძე, გეჯეჭკორი, მოლოდცოვი (სამივე — აფხაზეთი), ნ. ასათიანი (აჭარა), გაგნიძე, ი. მუსაელიანი, მანუკოვი (სამივე — რუსთავი), ხიტროვი (ქუთაისი) I წრეში გამოეთიშნენ ბრძოლას. თბილისელთა გარდა მხოლოდ ჟორდანიამ (აჭარა) შეძლო I წრეში გამარჯვება, თუმცა მომდევნო წრეში ვერც ის გადაურჩა მარცხს.

ჩემპიონატმა მაყურებელი ვერ მიიზიდა. ტრიბუნები ცარიელი იყო, თუმცა ქალაქში აფიშები დროულად გააკრეს. ცუდი ნიშანია: ასეთი გულგრილობის მიზეზი რესპუბლიკის ჩოგბურთელთა თამაშის კლასის საგრძნობი დაქვეითებაა (აქ გამონაკლისს მხოლოდ თბილისელი ჩოგბურთელები წარმოადგენენ). ამასთან, ჩემპიონატი რატომღაც მაშინ ჩატარდა, როცა მეტრეველი თბილისში არ იყო. თანაც, შეხვედრები უმთავრესად სამუშაო საათებში გაიმართა, სტუდენტობაც გამოცდებით იყო დაკავებული...

იქნებ უმჯობესია, საქართველოს ჩემპიონატი ღია შეჯიბრებად გამოვაცხადოთ და ძლიერი ჩოგბურთელები მოვიწვიოთ როგორც სსრ კავშირის სხვა რესპუბლიკებიდან, ისე უცხოეთიდანაც. ეს ღონისძიება, ცხადია, ბევრად გაზრდიდა რესპუბლიკური ჩემპიონატისადმი ინტერესს და, რაც მთავარია, დიდად შეუწყობდა ხელს ჩვენი ჩოგბურთელების დაოსტატებას.

ჯ. ენუქიძე.

## შტაბმა ითათბირა

საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში შედგა „ტყავის ბურთის კლუბის" ცენტრალური შტაბის სხდომა. გადაწყდა საკავშირო გათამაშების ფინალური შეხვედრები დაიწყოს 15 აგვისტოს ლუგანსკში (12-13 წლის ასაკისთვის) და ერევანში (14-15 წლის ასაკისთვის).

სხდომაზე დამტკიცდა „ტყავის ბურთის კლუბის" მედლებისა და სამახსოვრო ნიშნების ნიმუშები.

## „ტყავის ბურთის პრიზზე"

### ხაშური

ჩატარდა ეზოებისა და ქუჩების რაიონული პირველობა. უმცროს ასაკში მონაწილეობდა 7 გუნდი, სადაც I ადგილი დაიკავა გამარჯვების ქუჩის გუნდმა „სიახლემ" (მწვრთნელი ნ. ნოზაძე). უფროს ასაკში უძლიერესი იყო ელექტროფიკაციის ქუჩის „იმედი" (მწვრთნელი ჯ. კიკნაძე).

ზ. მოსეშვილი.

### კასპი

38 გუნდი მონაწილეობდა ნორჩ ფეხბურთელთა შეჯიბრებაში. უმცროს ასაკში კარგი მომზადება გამოავლინეს და გაიმარჯვეს სოფ. ქვემო ქალის „ლეხურის" ფეხბურთელებმა.

უფროს ასაკში იმძლავრა სოფ. თეზის „დილამ", რომელმაც დაამარცხა ალაიანის, კასპის, ახალქალაქის გუნდები.

ლ. ელისაბედაშვილი.

### ცხაკაია

ნორჩ ფეხბურთელთა შეჯიბრების გადამწყვეტი შეხვედრები ქალაქის სტადიონზე ჩატარდა.

უფროს ასაკობრივ კატეგორიაში გაიმარჯვა „დილამ" (ქუთაისის ქუჩა), რომელსაც წვრთნის მე-4 საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე გ. ტყებუჩავა.

უმცროსი ასაკის ბავშვებში ყველას აჯობეს „მერცხლის" ფეხბურთელებმა (მშვიდობის ქუჩა). მათი მწვრთნელია 1-ლი საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე ჯ. შარტავა.

ე. გუგუნავა.

### ზუგდიდი

1953-54 წლებში დაბადებულ ბავშვთა გუნდების ტურნირი მოიგო ნინოშვილის ქუჩის კოლექტივმა — „მთაწმინდამ".

უმცროს ასაკში თანაბარი ქულები დააგროვეს „სიხარულმა" (ნინოშვილის ქუჩა) და „ყაყაჩომ" (ჭავჭავაძის ქუჩა). დამატებითი მატჩი მათ შორის მოიგო „ყაყაჩომ".

გ. ალშიბაია.

## დღეს ლენინგრადის

ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონზე შედგება სსრ კავშირისა და ავსტრიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების ამხანაგური საერთაშორისო მატჩი.

ავსტრიელ ფეხბურთელებს ჩვენი სპორტის მოყვარულები კარგად იცნობენ. მომავალი მსოფლიო პირველობის შესარჩევი ტურნირის პროგრამით ეს გუნდი ვენაში სულ ახლახან შეხვდა კვიპროსის ნაკრებს და დაამარცხა იგი ანგარიშით 7:1. აღსანიშნავია, რომ 4 ბურთი გაიტანა ჰოფმა.

ავსტრიელებთან სათამაშოდ საბჭოთა ფეხბურთელთაგან ემზადებოდნენ ე. რუდაკოვი, ი. დეგტიარევი, ი. ისტომინი, მ. პლახეტკო, ა. სიომინი, ვ. ლევჩენკო, ვ. ბასალაევი, ა. ლენიოვი, გ. ვიუნი, ა. ჩუმაკოვი, კ. ასათიანი, გ. ნოდია, მ. გერშკოვიჩი, ვ. კოზლოვი, გ. ევრიუჟიხინი და ი. სეკეჩი.

საერთაშორისო მატჩის გადაცემას ლენინგრადიდან ცენტრალური ტელევიზია აწარმოებს 19 საათიდან თბილისის დროით.

## სტატისტიკოსის ბლოკნოტში

### ✦ ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს...

ევროპის ჩემპიონატის ფინალური ტურნირის მატჩში III ადგილისთვის (რომი, 8 ივნისი) სსრ კავშირისა და ინგლისის გუნდებმა ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს: ინგლისი — ბენქსი, რაიტი, უილსონი, ლებონი, სტაილსი, მური, ჰერტსი, ჰანტი, რ. ჩარლტონი, პიტერსი, ჰანტერი; სსრ კავშირი — პშენიჩნიკოვი, ისტომინი, შესტერნიოვი, კაპლიჩნი, აფონინი, ლოგოფეტი, მალოფეევი, ლენიოვი, ბანიშევსკი, ბიშოვეცი, ევრიუჟიხინი.

ამავე დღეს I ადგილისთვის გამართულ მატჩში მეტოქეებმა ასეთი შემადგენლობები გამოიყვანეს: იტალია — ძოფი, ბურგნიჩი, ფაკეტი, ფერინი, გუარნერი, კასტანო, დომენგინი, ჟულიანო, ანასტაზი, ლოდეტი, პრატი; იუგოსლავია — პანტელიჩი, ფაზლაგიჩი, დამიანოვიჩი, პავლოვიჩი, პაუნოვიჩი, ჰოლცერი, პეტროვიჩი, ტრივიჩი, მუსემიჩი, აკიმოვიჩი, ჯაიჩი.

10 ივნისს ამ გუნდების განმეორებით შეხვედრაში მინდორზე იყვნენ: იტალია — ძოფი, ბურგნიჩი, ფაკეტი, როსატო, გუარნერი, სალვადორე, დომენგინი, მაცოლა, ანასტაზი, დე სისტი, რივა; იუგოსლავია — პანტელიჩი, ფაზლაგიჩი, დამიანოვიჩი, პავლოვიჩი, პაუნოვიჩი, ჰოლცერი, კოშიჩი, ტრივიჩი, მუსემიჩი, აკიმოვიჩი, ჯაიჩი.

### ✦ ბომბარდირები

სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის (უმაღლესი ლიგა) მონაწილენი XIII-XIV ტურების მიჯნაზე იმყოფებიან.

სადღეისოდ გათამაშების საუკეთესო ბომბარდირია ტაშკენტის „პახტაკორის" თავდამსხმელი ბ. აბდურაიმოვი, რომლის ანგარიშზეა 8 ბურთი.

6-6 გოლის ავტორები არიან დ. ფაცუა (ქუთაისის „ტორპედო"), ვ. იანკინი (მოსკოვის „სპარტაკი") და ო. კოპაევი (როსტოვის ასკ).

## საქართველოს ჩემპიონატი

### გათამაშების ცხრილი

#### I ჯგუფის I ქვეჯგუფი

მდგომარეობა 16 ივნისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ასკ (თბილისი) | 17 | 9 | 7 | 1 | 37—12 | 25 |
| „კოლხეთი" (ცხაკაია) | 16 | 8 | 7 | 1 | 33—14 | 23 |
| „მეტალურგი" (ზესტაფონი) | 17 | 8 | 7 | 2 | 26—13 | 23 |
| „სპარტაკი" (ბორჯომი) | 15 | 7 | 8 | 0 | 24—13 | 22 |
| „მეიჯარი" (წულუკიძე) | 17 | 7 | 7 | 3 | 23—19 | 21 |
| „დურუჯი" (ყვარელი) | 16 | 6 | 8 | 2 | 24—14 | 20 |
| „სინათლე" (თბილისი) | 15 | 7 | 5 | 3 | 19—10 | 19 |
| ფიზკულტურის ინსტ. (თბილისი) | 15 | 8 | 3 | 4 | 22—14 | 19 |
| „აერო" (გალი) | 17 | 7 | 5 | 5 | 18—19 | 19 |
| „ლოკომოტივი" (სამტრედია) | 16 | 6 | 6 | 4 | 20—19 | 18 |
| „სულორი" (ვანი) | 17 | 7 | 4 | 6 | 18—17 | 18 |
| „მშენებელი" (სიღნაღი) | 17 | 5 | 6 | 6 | 17—22 | 16 |
| „ლაითური" (მახარაძის რაიონი) | 17 | 4 | 5 | 8 | 15—19 | 13 |
| „არაგვი" (მცხეთა) | 16 | 6 | 1 | 9 | 13—18 | 13 |
| „ისანი" (თბილისი) | 17 | 4 | 5 | 8 | 14—25 | 13 |
| „ნარინჯი" (ბათუმის რაიონი) | 17 | 3 | 6 | 8 | 16—25 | 12 |
| „კოლმეურნე" (წალენჯიხა) | 15 | 4 | 4 | 7 | 13—25 | 12 |
| „მესხეთი" (ახალციხე) | 14 | 4 | 3 | 7 | 12—19 | 11 |
| „ბახმარო" (ჩოხატაური) | 16 | 3 | 5 | 8 | 14—24 | 11 |
| „გარეჯი" (საგარეჯო) | 17 | 3 | 4 | 10 | 16—27 | 10 |
| „ქართლი" (გორის რაიონი) | 17 | 3 | 4 | 10 | 11—24 | 10 |
| „სამცხე" (აწყური) | 15 | 1 | 6 | 8 | 13—22 | 8 |

## „ა" კლასი II ჯგუფი

### გათამაშების ცხრილი

#### III ქვეჯგუფი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 16 ივნისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 12 | 7 | 4 | 1 | 13—5 | 18 |
| „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) | 13 | 7 | 3 | 3 | 16—13 | 17 |
| „დინამო" (მახაჩყალა) | 12 | 5 | 6 | 1 | 8—3 | 16 |
| „ვოლგარი" (ასტრახანი) | 13 | 5 | 5 | 3 | 17—13 | 15 |
| „ლოკომოტივი" (ჩელიაბინსკი) | 12 | 4 | 6 | 2 | 9—5 | 14 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 12 | 5 | 3 | 4 | 17—8 | 13 |
| „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) | 11 | 4 | 5 | 2 | 12—6 | 13 |
| „ვოლგა" (გორკი) | 12 | 5 | 3 | 4 | 13—10 | 13 |
| „ტორპედო" (ტაგანროგი) | 12 | 5 | 3 | 4 | 10—8 | 13 |
| „ფოლადი" (სუმგაითი) | 12 | 5 | 3 | 4 | 10—8 | 13 |
| „დინამო" (ბათუმი) | 12 | 4 | 5 | 3 | 9—8 | 13 |
| „თერგი" (გროზნო) | 12 | 4 | 4 | 4 | 11—11 | 12 |
| „ზენიტი" (იჟევსკი) | 13 | 3 | 6 | 4 | 8—12 | 12 |
| „ზვეზდა" (პერმი) | 13 | 4 | 4 | 5 | 9—14 | 12 |
| „სტროიტელი" (უფა) | 13 | 2 | 7 | 4 | 13—16 | 11 |
| „რუბინი" (ყაზანი) | 11 | 2 | 6 | 3 | 7—7 | 10 |
| „ვოლგა" (ულიანოვსკი) | 13 | 3 | 4 | 6 | 14—16 | 10 |
| „მეშახტე" (ტყიბული) | 13 | 1 | 8 | 4 | 10—15 | 10 |
| „სპარტაკი" (იოშკარ-ოლა) | 12 | 1 | 7 | 4 | 6—9 | 9 |
| „შირაკი" (ლენინაკანი) | 13 | 1 | 6 | 6 | 8—18 | 8 |
| „მეტალურგი" (მაგნიტოგორსკი) | 12 | 1 | 4 | 7 | 7—22 | 6 |

# სპორტული უნივერსიტეტი 68

## სამი სერიის შემდეგ

კონკურსის მონაწილენი ყველაზე დიდ სიძნელეებს მესამე სერიაში წააწყდნენ. მიუხედავად ამისა, მათგან მეექვსედმა (78 კაცი) ამ სერიაში 8 და მეტი ქულა მოაგროვა.

მაქსიმუმი — 10 ქულა მესამე სერიაში მოაგროვა კონკურსის მხოლოდ ორმა მონაწილემ — თბილისელებმა გ. კაკაურიძემ და გ. კვაჭაძემ. **სამი სერიის შემდეგ დაწინაურდა გურამ კაკაურიძე, რომელსაც 30 შესაძლებლიდან 30 ქულა აქვს.**

ვაქვეყნებთ კონკურსის იმ დანარჩენ მონაწილეთა გვარებს, რომელთაც „სპორტული უნივერსიტეტის“ 3 სერიის ჯამში დააგროვეს:

**29 ქულა** ჯ. ბაშელეიშვილი, ნ. ელერდაშვილი, რ. კაპანაძე, თ. ლებანიძე, გ. ლორთქიფანიძე, ზ. მაკარიძე, ბ. ტაბიძე, ა. ტაკიძე, ა. ფაჩუაშვილი, გ. ხარაზიშვილი, დ. ჯავახიძე, ფ. ჯანყარაშვილი, ი. მამისთვალოვი (ყველა — თბილისი), ი. ბუზიაშვილი, ზ. შალამბერიძე, დ. ჩიკვაშვილი (ყველა — ქუთაისი), ე. ჯიჯიაშვილი (გარდაბნის რ., სოფ. შინდისი).

**28 ქულა** ი. და ლ. ადამაშვილები, ნ. ბაქრაძე, ა. ბესიაშვილი, მ. ბახტაძე, რ. თავაძე, ჯ. თხელიძე, გ. კვაჭაძე, ა. კეკელიძე, თ. ლოლომაძე, ა. მელქაძე, ჯ. მარკარიანი, დ. ნაცვლიშვილი, კ. ოდიკაძე, მ. შალამბერიძე, გ. ჩეკურიშვილი, გ. ძიძიგური, ჯ. ხუციბერიძე, გ. ჯანბერიძე (ყველა — თბილისი), თ. ალფაიძე, დ. ჯანაშვილი (ორივე — ქუთაისი).

**27 ქულა** ჯ. ამაშუკელი, გ. ახალაძე, გ. ედილაშვილი, მ. ზაქარაია, რ. იდოიძე, რ. კემულარია, მ. მამისთვალოვი, ნ. მასტიაშვილი, ტ. მღვდელაძე, ჯ. მჭედლიშვილი, რ. მიქაშავიძე, ვ. ოსკანოვი, ი. პაროშინი, გ. ფოცხვერაშვილი, ზ. ქუთათელაძე, თ. ღვინეფაძე, ჯ. ძაგანია, დ. ხიდეშელი, ვ. ხვიტია (ყველა — თბილისი), გ. ახრახაძე (წყალტუბო), ჯ. ვაშაკიძე (სამტრედია), მ. სოფრომაძე (ქუთაისი), ნ. ტოროტაძე (სიმფეროპოლი).

**26 ქულა** გ. ბასილაშვილი, მ. კვირიკაშვილი, ს. მეყანწიშვილი, თ. სიხარულიძე, ნ. ურიდია, ჯ. ღვინიაშვილი, თ. ჩიქვანაია, გ. ხახიაური, გ. ჯაფარიძე (ყველა — თბილისი), გ. აბურჯანია, ბ. ბასილაია (ორივე — ფოთი), ზ. ანიკაშვილი, გ. ბიძინაშვილი, რ. ჯანაშვილი (ყველა — რუსთავი), შ. ბიბილეიშვილი (წყალტუბო), მ. გოგიძე (სოფ. გლდანი), ჯ. დიასამიძე (ბათუმი), ვ. ზენაიშვილი, გ. ლაბაძე, რ. ეღენტი, დ. ფაჩუაშვილი, ვ. ხიშტოვანი (ყველა — ქუთაისი), გ. მელქაძე (სამტრედია), ა. მელაძე (აბაშა).

**25 ქულა** ა. გურასაშვილი, მ. დათუაშვილი, ნ. ქურიძე, უ. ხუნდაძე, ი. ხაინდრავა (ყველა — თბილისი), ნ. გიგოლაშვილი (რუსთავი), ხ. გელოვანი (სამტრედია), ვ. სირბილაძე (ქუთაისი), ნ. წურწუმია (სოხუმი).

**24 ქულა** ნ. ასათიანი, გ. მჭედლიშვილი, გ. ნინიძე, ვ. ქარქუსაშვილი, დ. შაქარაშვილი, ნ. წერეთელი, პ. ხერხეულიძე, ვ. ჯორჯაძე (ყველა — თბილისი), გ. გუბელიძე (ქობულეთი), ა. დარჩია, ა. დავითიძე (ორივე — ბათუმი), ვ. თუზბაია (სოხუმი), გ. მამულაშვილი (მცხეთა), რ. სეფიაშვილი (ქუთაისი), ჯ. ფირცხალაიშვილი (ლანჩხუთი), ზ. წიკლაური (თელავი), ი. ჭაჭაშვილი (აზერბაიჯანის სსრ, სოფ. ალიბეგლო), ბ. ხომერიკი (მახარაძე).

## მეოთხე სერია

1. ქართველ სპორტსმენთაგან პირველად ვის და რომელ წელს მიენიჭა სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება?
2. გაიხსენეთ შემთხვევა ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ისტორიიდან, როცა შეჯიბრება ერთ-ერთი სახეობაში გაიმართა არა ოლიმპიადის ქვეყანაში, არამედ სხვაგან და გაცილებით ადრე. როგორ და რა პირობებში მოხდა ეს?
3. როდის დაინიშნა პირველი პენალტი ფეხბურთის ისტორიაში და რატომ არის მისი მანძილი 11 მეტრი?
4. სად და რომელ წელს ჩატარდა ამიერკავკასიის ხალხთა პირველი სპორტული ოლიმპიადა?
5. რამდენი საერთაშორისო მატჩი დაამთავრა თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდმა თავის მინდორზე ფრედ, ვისთან, როდის და რა ანგარიშით?
6. რომელი წლიდან ეძლევათ საბჭოთა სპორტსმენებს ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები შესაბამისად I, II და III ადგილების დაკავებისთვის?
7. როდის გამოჩნდნენ ევროპის პირველი ჩემპიონები კრივში და რომელ წელს გაიმართა ევროპის პირველი ჩემპიონატი ამ სახეობაში?
8. დაასახელეთ მსოფლიოს პირველი ოფიციალური რეკორდის ავტორი საბჭოთა სპორტსმენი. რომელ სახეობაში გამოდიოდა იგი?
9. დაასახელეთ იმ ქვეყნის სპორტული დელეგაცია, რომელმაც პირველად გრენობლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში მიიღო მონაწილეობა. რამდენკაციანი იყო ეს დელეგაცია? (იგულისხმება მხოლოდ ზამთრის ოლიმპიური თამაშები).
10. ვინ არიან აღბეჭდილი ამ სურათზე?



მეოთხე სერიის კითხვებზე პასუხების გამოგზავნის უკანასკნელი ვადაა 26 ივნისი (იგულისხმება საფოსტო განყოფილების შტემპელი).

პასუხები გამოგზავნეთ შემდეგი მისამართით: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14. „ლელოს“ რედაქცია, „სპორტული უნივერსიტეტი-68“.

კონკურსის მონაწილეთ ვთხოვთ პასუხებს სახელთან და გვართან ერთად მიაწერონ თავიანთი მისამართი; კონვერტში ჩადონ ჩვენი გაზეთიდან ამოჭრილი მხოლოდ სპეციალური შესაბამისი კუპონი-4, რომელიც კითხვების სერიას ერთვის (წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხები რეგისტრირებული და განხილული არ იქნება).

**კუპონი 4**

## იცოდეთ... საათი!

◆ **ნიუ-იორკი**, 15 ივნისი. ამერიკის შეერთებული შტატების ოლიმპიური გუნდი, რომელშიც 12 კალათბურთელი ვაჟი შედის, კვირას გაემგზავრა ევროპას, სადაც ორ კვირაში ათ მატჩს გამართავს. 18-19 ივნისს ამერიკელები იასპარეზებენ ბელგრადში, შემდეგ, 22-24 ივნისს მინსკსა და 23-28 ივნისს მოსკოვში მონაწილეობას მიიღებენ „ოთხთა ტურნირში“ (სსრ კავშირი, იუგოსლავია, აშშ, მექსიკა), ბოლოს კი, ჰელსინკში ითამაშებენ 30 ივნისსა და 1 ივლისს. აშშ-ს ნაკრები ოლიმპიური თამაშების უცვლელი ჩემპიონია.

◆ **ლეშნო** (პოლონეთი), 15 ივნისი. საპლანერო სპორტში მსოფლიო ჩემპიონატის 50 მონაწილედან, ვინც სტანდარტულ კლასში აიღო სტარტი, მხოლოდ ერთმა — ამერიკულმა ჯ. მოფატმა შეძლო დაბრუნებით 226-კილომეტრიანი რბოლის დამთავრება. მოწმენდილ ცაზე სუსტმა საჰაერო ნაკადებმა ლეშნო — ბორკოვის ტრასაზე შეჯიბრების პირობები მეტისმეტად გააძნელა. ძლიერი შემხვედრი ქარის გამო სამი სპორტსმენი სტარტის შემდეგ მაშინვე დაბრუნდა აეროდრომზე, დანარჩენებმა შუა დისტანციაზე შეწყვიტეს ფრენა. რამდენიმე მოასპარეზემ ცოტათი ვერ მიაღწია ფინიშამდე და ლეშნოს მიდამოებში დაეშვა.

## მოკრივე-რობოტი

რობოტების ოჯახი ყოველწლიურად ივსება და ყოველი ახალდაბადებული დიდი „ჭკუისა“ და ოსტატობის პატრონია. გაჩნდნენ ახალი რობოტები — ზემცოცავები, გეოლოგები და მყვინთავები, ხარატები და მღებავები, მიწის მთხრელები და მოხელეები, ლოთები და შინამოსამსახურენი, სპორტსმენები და „ავადმყოფები“. მათ შეუძლიათ იმუშაონ მიწაზე და წყალქვეშ, მთვარეზე და წყალზევით. მათ შორის ყველაზე სრულყოფილებს ესმით, ხედავენ, სუნთქავენ და ლაპარაკობენ, შეუძლიათ იგრძნონ წამლის გემო, ოფლიანდებიან და თვრებიან კიდეც. არსებობენ უნივერსალური რობოტები, რომელთაც შეუძლიათ შინაური საქმის გაკეთება, ჰოკეის თამაში, თავისი მფარველის ნაცვლად წერილებსა და ქვითრებზე ხელის მოწერა.

ადრე რობოტებს ლითონისგან ნაგებ უმწეო ზარმაცებად მიიჩნევდნენ. ამას წინათ კი ფრანგმა მწერთნელმა ა. სინჟალმა შექმნა რობოტი, რომელსაც თავის დაცვა შეუძლია. გამომგონებელმა არა მარტო მოკრივის ხელთათმანებით აღჭურვა იგი, არამედ დარტყმის მდიდარი არსენალიც შეუქმნა. რობოტი-მოკრივის დებიუტი დიდი წარმატებით ჩატარდა. იგი შესანიშნავად იგერიებდა ძლიერი მოკრივის დარტყმებს და თვითონაც წარმატებით აძლევდა პასუხს. ბევრი მოკრივე გაოცებული დარჩა. მათ შორის ყველაზე თავზეხელაღებულებმა სცადეს რადაც უნდა დასჯდომოდათ, ნოკაუტში ჩაეგდოთ რობოტი, მაგრამ... თვითონ ამოჩნდნენ ნოკაუტირებულნი.

**ვ. პეტროვი.**

## ნებისმიერ მოსურნე

## როგორ მოვიდა დიდ სპორტში ჰანა მაშკოვა

ალბათ ყველაზე მომხიბლავი, ყველაზე ფოტოგენური და ტელეგენური ყინულზე მხატვრული ციგურაობის ოსტატ ქალთა შორის ჩეხოსლოვაკიელი ჰანა მაშკოვაა. ამას წინათ მან ბერლინში ერთი პატარა „საიდუმლო“ გაამხილა. „კაცმა რომ თქვას, მხატვრულ ციგურაობას შემთხვევით მოვკიდე ხელი. ბავშვობაში ფიზიკურად ძალიან სუსტი ვიყავი და დედა მაიძულებდა ზაფხულობით ცურვით, ხოლო ზამთრობით ციგურაობით გამეკაჟებინა სხეული“.

ერთი სიტყვით, სპორტისკენ ბევრი სხვადასხვა გზა მიდის.

## ევროპის ჭაბუკთა...

კაუნასი, 15 ივნისი. ქალაქის მძლეოსანთა შეჯიბრებაში ადგილობრივმა მოსწავლემ არუნას ვიტკიავიჩიუსმა ევროპის ჭაბუკთა ახალი რეკორდი დაამყარა ბირთვის კვრაში — 17,29 მ. პ. ბრისენიპის (გდრ) ძველი მიღწევა 9 სანტიმეტრითაა გაუმჯობესებული.

## ასეთ გაგრძელდეს...

ვესტეროსი, 14 ივნისი. დღეს შვეციის ამ ქალაქში დაიწყო ევროპის ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში. შეჯიბრების პირველი დღე საბჭოთა ათლეტებმა გამარჯვებებით აღნიშნეს. სსრ კავშირის ნაკრების დებიუტანტმა და ყველაზე ახალგაზრდა წევრმა, 22 წლის ერევნელმა ზახარიანმა (მჩატე წონა) 2 წუთსა და 53 წამში ბეჭებზე დასცა სვიპი (ისრაელი). ამ წონით კატეგორიაში ევროპის ჩემპიონმა ვარგამ (უნგრეთი) ქულებით დაამარცხა სვენსონი (შვეცია).

უმჩატეს წონაში საბჭოთა გუნდის ვეტერანმა, 33 წლის როსტოველმა კოჩერგინმა მწვავე ჭიდილში ქულებით სძლია გამოცდილ რუმინელ ათლეტს სტოიჩს, ხოლო ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა ლაკურმა (გფრ) მოუგო იტალიელ ცენტურიონს.

ქვემსუბუქ წონაში მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა გრიგორიევმა (ზაპოროჟიე) ქულებით დაამარცხა უნგრეთის წარმომადგენელი ვარაჩი.

დანარჩენი ხუთი წონითი კატეგორიის ათლეტები ხალიჩაზე მოგვიანებით გამოვიდნენ.

აქ დაწყებული ევროპული ჩემპიონატი მეხიკოს ოლიმპიადის წინ უკანასკნელი რეპეტიციაა და სწორედ ამან განაპირობა მისი „ხალხმრავლობა“: ტურნირში ათლეტთა სარეკორდო რაოდენობამ მოიყარა თავი — 25 სახელმწიფოს 158 წარმომადგენელმა. აღსანიშნავია, რომ ესენი მხოლოდ ჩვენი კონტინენტის შვილები როდი არიან. მაგალითად, ევროპის ჩემპიონთა ოქროს მედლებისთვის პირველად იბრძვის მექსიკის ხუთი სპორტსმენი.

მთლიანი შემადგენლობებით (8 კაცი) ასპარეზობენ ბულგარეთის, უნგრეთის, დანიის, ესპანეთის, პოლონეთის, რუმინეთის, სსრ კავშირის, თურქეთის, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ფინეთის, შვეციის, შვეიცარიისა და იუგოსლავიის ნაკრები გუნდები.

შეჯიბრება ერთდროულად სამ ხალიჩაზე მიმდინარეობს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## 17 ივნისს

საქართველოს ფილარმონიის საზაფხულო თეატრში (პლეხანოვის პრ. № 123) გაიმართება სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ჩემპიონატში გამარჯვებულების — თბილისის დინამოელებისადმი მიძღვნილი საღამო.

გუნდის წევრებს გადაეცემათ ოქროს მედლები.

დასაწყისი 19 საათზე.

## თბილისის სპორტული ცხოვრება

ფეხბურთი. „ისნის“ სტადიონი. დღეს — საქართველოს პირველობა. „ისანი“ (თბილისი) — „სულორი“ (ვანი). დასაწყისი 17 ს. ასკ-ს სტადიონი. ასკ (თბილისი) — „დურუჯი“ (ყვარელი). დასაწყისი 18 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უე 07579